საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ი. თ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.09.2018

საჩივრის რეგისტრაციის № 128/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ფ. ს მიმართ, /სიითი № / სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ფ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 12 სექტემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ი. თ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. ფ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის არის მსჯავრდებული ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე. ი. თ.-მა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე იურიდიული დახმარებისთვის მიმართა ადვოკატ ნ. ფ.-ს. შეთანხმების შესაბამისად, საადვოკატო მომსახურების ჰონორარი განისაზღრა 1000 ლარის ოდენობით, რომელიც ადვოკატს გადასცა ი. თ.-ს ნათესავმა - შ. ქ.-მ.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მას არ გაუწია სათანადო იურიდიული მომსახურება, არ იცნობდა საქმის მასალებს, არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის თაობაზე, არ პასუხობდა მის სატელეფონო ზარებს, მათ შორის, საჩივრის ავტორმა ადვოკატისგან არ იცოდა ინფორმაცია სასამართლო სხდომების განრიგის თაობაზე. ადვოკატმა ნ. ფ.-მ ი. თ.-სთან შეუთანხმებლად

პროკურატურას შესთავაზა საპროცესო შეთანხმება და სასამართლო პროცესზე მოითხოვა სასამართლო სხდომის ერთი თვით გადადება.

1.4 ი. თ. ორი თვის განმავლობაში სთხოვდა ადვოკატ ნ. ფ.-ს მოენახულებინა ის რუსთავის მე-17 პენიტენციურ დაწესებულებაში საქმესთან დაკავშირებით.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ნ. ფ. ორიენტირებული იყო საქმესთან დაკავშირებით, საპროცესო შეთანხმება გაფორმებულიყო და ი. თ.-ს ინტერესების დასაცავად კი არავითარი ქმედითი ნაბიჯი არ გადაუდგამს. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი საქმის მასალებსაც არ გასცნობია.

1.6 ი. თ.-ს განცხადებით, მისი მოთხოვნით, ადვოკატმა ნ. ფ.-მ ჰონორარის ნაწილი - 500 ლარი სამ თვეში დააბრუნა ნაწილ-ნაწილ, ხოლო დარჩენილი 500 ლარი ამ დრომდე არ დაუბრუნებია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. ფ.-მა 2018 წლის 09 ოქტომბერს წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება ეთიკის კომისიაში, ხოლო 2018 წლის 13 დეკემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ზეპირი ფორმით წარმოადგინა ახსნა-განმარტება. ადვოკატმა 2019 წლის 12 ივლისს ადვოკატმა ნ. ფ.-მა წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

2.2 ადვოკატის განმარტებით, იგი იყო პატიმარ დ. ი.-ს ადვოკატი, რომელიც იცნობდა ი. თ.-ს. დ. ი.-მა სთხოვა ადვოკატს დახმარებოდა ი. თ.-ს, რომლის საქმესაც სააპელაციო სასამართლო განიხილავდა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ი. თ. ხუთი თვის განმავლობაში შიმშილობდა, ამიტომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნისას მძიმე იყო. ადვოკატმა ნ. ფ.-მ ი. თ.-ს სთხოვა შეეწყვიტა შიმშილობა, რადგან შიმშილობა მის მდგომარეობას უფრო გააუარესებდა და ასეთ ვითარებაში მის ინტერესებს ვერ დაიცავდა, რაზეც ი. თ.-მ თანხმობა განუცხადა.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მან შესთავაზა ი. თ.-ს საპროცესო შეთანხმების გაფორმება, საქმეში არსებული ფაქტებიდან გამომდინარე. ამასთან, ადვოკატი ნ. ფ. განმარტავს, რომ ი. თ.-ს „აღიარება ჰქონდა საქმეში“, რაც მოსამართლეს შინაგან რწმენას შეუქმნიდა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის, რის შემდგომაც, ი. თ.-მა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე თანხმობა განაცხადა. თუმცა შემდგომ, ხშირად იცვლიდა პოზიციებს და პროკურატურაც არ იყო დარწმუნებული ი. თ.-ს გადაწყვეტილებაში. ადვოკატ ნ. ფ.-ს განცხადებით, საპროცესო შეთანხმების შედეგად, ი. თ.-ს სასჯელი დაახლოებით 4-5 წლამდე შეუმცირდებოდა.

2.5 ი. თ.-მა ადვოკატ ნ. ფ.-ს სთხოვა ადვოკატების წინააღმდეგ მიემართა ეთიკის კომსიისთვის საჩივრით. ი. თ.-ს სურდა ადვოკატებისთვის გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნება. ადვოკატი ნ. ფ. არ დახმარებია საჩივრის ავტორს მსგავს საკითხებში, რადგან მისთვის წარმოუდგენელია მისი კოლეგების წინააღმდეგ დავაში კლიენტის ინტერესების წარმოდგენა და თავადაც მოუწოდებდა ი. თ.-ს, რომ მის ყოფილ ადვოკატებთან კონფლიქტისგან თავი შეეკავებინა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, პატიმარი, როდესაც ადვოკატებს „აბრალებს რაიმეს“, ურეკავს მათ, „ლანძღავს, ემუქრება“ - ამ საქციელს ის ვერ გაამართლებს. ადვოკატმა განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მისი შემდეგი განმარტება: „პედოფილი

არ დამიცვია, რაღაცა ჩემი რწმენები მაქვს“, არ უკავშირდებოდა რომელიმე კლიენტს, მათ შორის არ ეხებოდა ი. თ.-ს, არამედ მან დააფიქსირა თავისი შეხედულება.

2.7 ადვოკატი ნ. ფ. ი. თ.-თან საპატიმრო დაწესებულებაში დაახლოებით ხუთჯერ იმყოფებოდა, მათ შორის საქმესთან დაკავშირებით იყო პროკურატურაშიც, რამდენჯერმე მოუწია სასამართლო სხდომის გადადება. ადვოკატის განმარტებით, მას დიდი შრომა დასჭირდა, რათა პროკურორი დაეთანხმებინა მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის საპროცესო შეთანხმება გაეფორმებინა. ამ მიზანს ემსახურებოდა სასამართლოში პროცესების გადადება, რადგან სურდა დრო მოეგო.

2.8 საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე პროკურორის თანხმობის თაობაზე ინფორმაცია ადვოკატმა ნ. ფ.-მა მიაწოდა ი. თ.-ს, თუმცა მან ადვოკატი უშვერი სიტყვებით მოიხსენია და განუცხადა, რომ საქმეზე „ებრძოლა“ და მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა საპროცესო შეთანხმებას, თუ მაშინვე გაათავისუფლებდნენ.

2.9 ადვოკატმა ნ. ფ.-მა ი. თ.-ს დეტალურად განუმარტა საქმის დასრულების შესაძლო ვარიანტები, მათ შორის აუხსნა, რომ ის საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე არ იყო ორიენტირებული და „შესავალი სიტყვა“ მომზადებული ჰქონდა წერილობითი ფორმით, რაც შ. ქ.-საც გააცნო ადვოკატმა, რის შედგომაც, ი. თ. დაუკავშირდა მას და უთხრა, რომ მართალია, ის მზად იყო სასამართლო სხდომისთვის, თუმცა მისი საადვოკატო მომსახურება აღარ სურდა და გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნება მოითხოვა.

2.10 ადვოკატმა ნ. ფ.-მა შ. ქ.ს დაუბრუნა ნაწილ-ნაწილ გადახდილი ჰონორარის ნახევარი 500 ლარი. ადვოკატის განმარტებით, მან ი. თ.-ს ანგარიშზე გადარიცხა 30 ლარი შ. ქ.-ის თხოვნით, რადგან ი. თ. თავის დას ვერ უკავშირდებოდა. ადვოკატის განცხადებით, მას საქმესთან დაკავშირებით რაიმე ხარჯთაღრიცხვა არ უწარმოებია, რადგან ამის საჭიროება არ იყო.

2.11 ადვოკატის განცხადებით, ი. თ. უცნაურად იქცეოდა - ერთი დღე თანახმა იყო საპროცესო შეთანხმებაზე, მეორე დღეს უარს ამბობდა და ასე გრძელდებოდა სისტემატურად, მისი ფსიქიკური მდგომარეობა არასტაბილური იყო.

2.12 ადვოკატის განცხადებით, მას ი. თ.-ს ინტერესების დაცვის დაწყებისას, არ გამოუთხოვია საქმის მასალები გაცნობის მიზნით, რადგან თავდაპირველად, მნიშვნელოვანი იყო ი. თ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა. ადვოკატ ნ. ფ.-ს საქმის მასალები გადასცა იმ ადვოკატებმა, ვინც ადრე აწარმოებდნენ საჩივრის ავტორის საქმეს, ზოგი დოკუმენტი თავად ი. თ.-სგან მიიღო, აგრეთვე, საქმის მასალების ნაწილი გადასცა შ. ქ.-ც. აღნიშნული მასალების გაცნობა ადვოკატისთვის საკმარისი იყო, იმისათვის, რომ საქმის მდგომარეობას გაცნობოდა. მოგვიანებით, მას მერე, რაც გამოვლინდა, რომ საპროცესო შეთანხმება აღარ ფორმდებოდა ი. თ.-ს საქმეზე, ადვოკატმა ნ. ფ.-მა გამოითხოვა საქმის მასალები სასამართლოდან, მათ შორის მოუსმინა სასამართლო სხდომის ოქმებს.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. ფ. ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ შესაძლოა, ადვოკატი ნ. ფ. საადვოკატო მომსახურების დაწყების ეტაპზე არ გაეცნო საჩივრის ავტორის საქმის მასალებს.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ სავარაუდოდ, ადვოკატი ნ. ფ. საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას მოქმედებდა კლიენტისადმი პირადი შეხედულებიდან გამომდინარე და შესაძლოა, მან დაარღვია კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა და ადვოკატის დამოუკიდებლობა.

3.3 საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ შესაძლოა, ადვოკატი ნ. ფ. საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას მოქმედებდა კლიენტისადმი პირადი შეხედულებიდან გამომდინარე, რითიც სავარაუდოდ, ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა და ადვოკატის დამოუკიდებლობა.

3.4 საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადვოკატი ნ. ფ. საადვოკატო მომსახურების განმავლობაში არ აწარმოებდა ხარჯთაღრიცხვას, შესაბამისად, შესაძლოა, დარღვეულად ჩაითვალოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის წარმოების ეთიკური ვალდებულება.

3.5 საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ზემოთ აღნიშნული ფაქტების ერთობლიობა ქმნის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის, 8.5 და 8.12 მუხლების შემადგენლობას, რაც ნიშნავს, რომ მათი განხილვის სტადიაზე დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატს შესაძლოა, დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ადვოკატი ნ. ფ. შეთანხმების შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე საადვოკატო მომსახურებას უწევდა საჩივრის ავტორს - ი. თ.-ს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები (იხ.პუნქტები: 1.2, 2.3);

4.2 მხარეებს შორის სადავოა შემდეგი ფაქტი: ადვოკატი ნ. ფ. არ გაეცნო ი. თ.-ს საქმის მასალებს

- აღნიშნულ გარემოებაზე ი. თ. უთითებს თავის საჩივარში, თუმცა არ უთითებს კონკრეტულად, რა სახის ინფორმაციას არ აწვდიდა ადვოკატი მას.
- გარდა, საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტებისა, საქმეში არ მოიპოვება სარწმუნო მტკიცებულება, რითიც დასაბუთდებოდა ზემოაღნიშნული გარემოებები.
- ადვოკატი უარყოფს საჩივრის ავტორის მოცემულ პოზიციას.
- ეთიკის კომისიაში ადვოკატ ნ. ფ.-ს მიერ წაროდგენილი მტკიცებულებით (სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ 2019 წლის 02 აგვისტოს გაცემული წერილობითი ცნობა) დასტურდება, რომ საადვოკატო მომსახურების ფარგლებში ადვოკატი ნ. ფ. საჩივრის ავტორთან, როგორც ბრალდებულთან პენიტენციურ დაწესებულებაში ხუთჯერ იმყოფებოდა შემდეგ პერიოდებში: 2017 წლის 21 დეკემბერი, 2018 წლის 12 იანვარი, 2018 წლის 22 იანვარი, 2018 წლის 05 თებერვალი, 2018 წლს 25 აპრილი.

- შესაბამისად, საჩივრის ავტორის ბრალდება ადვოკატის მიმართ, ეფუძნება მხოლოდ თავის განმარტებას, ამასთან, კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებას, რაც სარწმუნოს ხდის იმ გარემოებას, რომ ადვოკატი იურიდიული მომსახურების განხორციელების პერიოდში, პენიტენციურ დაწესებულებაში საჩივრის ავტორის მონახულებისას მოქმედებდა კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით, მათ შორის აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე.

4.3 მხარეებს შორის შემდეგი სადაო გარემოებაა: ადვოკატს უნდა ეწარმოებინა ხარჯთაღრიცხვა ი. თ.-ს საქმესთან დაკავშირებით.

- მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი არ არის საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ, რაც ეხება ხარჯთაღრიცხვის წარმოებას.

- ადვოკატი თავის პოზიციაში უთითებს, რომ კლიენტის საქმესთან დაკავშირებით, საადვოკატო მომსახურების ჰონორარი მიიღო კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირისგან - ი. თ.-ს ნათესავისგან - შ. ქ.-ის მეშვეობით, რომელსაც ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის შემდგომ დაუბრუნა ჰონორარის ნაწილი - 500 ლარი. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არ არის წარმოდგენილი არც შ. ქ.-ის და არც ი. თ.-ს საჩივარში მითითება ადვოკატის მიმართ საქმისწარმოების ხარჯებთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზიაზე.

- შესაბამისად, განხილვის კოლეგია ვერ გაიზიარებს საპროცესო კოლეგიის პოზიციას, იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, დასტურდება ადვოკატის მიერ საქმისწარმოების ხარჯებთან დაკავშირებით არსებული ეთიკური ვალდებულების დარღვევა. მხოლოდ ადვოკატის ზოგადი განმარტება იმის თაობაზე, რომ მას ი. თ.-ს საქმესთან დაკავშირებით არ უწარმოებია ხარჯთაღრიცხვა, არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს კოლეგიამ იმსჯელოს აპეკ-ის 8.12 მუხლის დარღვევის ფარგლებში. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქმის განხილვის საპროცესო ეტაპზე არ დადგინდა გამოუმუშავებელი ჰონორარის დაუბრუნებლობის ვალდებულების დარღვევა.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. ფ.-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, არ დადასტურდა, რომ ადვოკატმა ნ. ფ.-მა დაარღვია საპროცესო კოლეგიის მიერ მითითებული შემდეგი მუხლები:

ადვოკატმა კვალიფიციურად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.12).

ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მუხლი 2.1)

6.2 კვალიფიციური მომსახურება გულისხმობს ადვოკატის მიერ საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას, მათ შორის, კლიენტის საქმის მასალების გაცნობისა და საქმისათვის მომზადებას. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ კლიენტის საქმის მასალების გაცნობა და საქმისათვის მომზადება ადვოკატმა უნდა განახორციელოს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებისას, რათა უზრუნველყოფილი იყოს კლიენტის დაცვის უფლება. არ აქვს მნიშვნელობა კლიენტს სურს საქმის საპროცესო შეთანხმებით დასრულება თუ საქმის გაგრძელება სასამართლოში, ადვოკატის უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს კლიენტის ინტერესების კვალიფიციურად წარმოდგენა.

6.3 „ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში… ადვოკატს ევალება მოამზადოს საქმე სასამართლოში წარსადგენად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის“ (2010 წლის 23 სექტემბრის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, დისციპლინურ საქმე №066/10).

6.4 მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება ის გარემოება, რომ ადვოკატი ნ. ფ. ი. თ.-სთვის საადვოკატო მომსახურების განხორციელების ფარგლებში არ ეცნობოდა საქმის მასალებს. საჩივრის ავტორი თავად ადასტურებს, რომ ადვოკატი საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე უწევდა კონსულტაციებს და მისი საქმის თაობაზე ფლობდა ინფორმაციას. განსახილველ შემთხვევაში, არ დასტურდება ის გარემოება, რომ ადვოკატი დაგვიანებით გაეცნო საჩივრის ავტორის საქმესთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას და ამით კლიენტს მიაყენა ზიანი.

6.5 საჩივრის ავტორი თავის განმარტებაში უთითებს, რომ ადვოკატი არ ნახულობდა პენიტეცნიურ დაწესებულებაში ყოფნისას მას და არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის თაობაზე. პენიტენციური დაწესებულების მიერ გაცემული 2019 წლის 02 აგვისტოს ცნობის მიხედვით დასტურდება, რომ ადვოკატი ნ. ფ. მცირე ხნიანი შუალედებით, ხუთჯერ იმყოფებოდა საჩივრის ავტორთან პენიტენციურ დაწესებულებაში 2017 წლის 21 დეკემბრიდან 2018 წლის 25 აპრილის პერიოდში.

6.6 მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება, რომ ადვოკატ ნ. ფ.-ს ი. თ.-ს საქმესთან დაკავშირებით უნდა ეწარმოებინა კონკრეტული ხარჯთაღრიცხვა. აღნიშნულის თაობაზე არც საჩივრის ავტორი უთითებს თავის პრეტენზიაში. ამასთან, ადვოკატმა საჩივრის ავტორს დაუბრუნა ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ არსებული გამოუმუშავებელი ჰონორარი. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არ არის წარმოდგენილი საკმარისი გარემოებები, რის საფუძველზეც კოლეგია იმსჯელებდა ადვოკატის მიერ აპეკ-ის 8.12 მუხლის დარღვევის თაობაზე.

6.7 კომისია აღნიშნავს, რომ საქმეში არ არის მითითებული საკმარისი ფაქტობრივი გარემოებები, რაც დაადასტურებდა აპეკ-ის 2.1-ის დარღვევას. მოცემულ შემთხვევაში, არ მტკიცდება, რომ ადვოკატის პოზიცია (იხ. პუნქტი 2.6) არის მისი პირადი შეხედულება საჩივრის ავტორის პიროვნებიადმი, რამაც გამოიწვია ადვოკატსა და კლიენტს შორის პირადი ინტერესების დაპირიპირება. საქმის განხილვის

ეტაპზე, არ დადასტურდა ადვოკატის მიერ კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების განხორციელების ფარგლებში დამოუკიდებლობის პრინციპის საწინააღმდეგოდ მოქმედება.

6.8 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ კანონის 28.14 მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 3.2, 5.7, 19, 20, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №128/18 ადვოკატ ნ. ფ.-ს №/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/